ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ინგა სეხნიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის წევრი

ირაკლი კორძახია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი ზ. პ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 15.05.2017

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 037/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ პ. შ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 15 მაისს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ადვოკატმა ზ. პ.-მ და მოითხოვა ადვოკატ პ. შ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ადვოკატ ზ. პ.-ის განცხადებით, ის იცავდა ქ.ბათუმში 2017 წლის 11-12 მარტის აქციის შედეგად განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ორგანიზატორობის ბრალდებით დაკავებულ მ.ღ.-ს ინტერესებს. ამ საქმეზე ადვოკატი ზ. პ. მ.ღ.-ს კონსულტაციებს უწევდა დაკავებამდე და ისინი შეთანხმებულნი იყვნენ, რომ მას უნდა დაეცვა მ.ღ-ს ინტერესები.

1.3 ზ. პ.-ის განმარტებით, როდესაც დააკავეს მ.ღ. და ის ციხეში შევიდა მასთან, კლიენტმა განუმარტა, რომ მას სისტემატურად უკავშირდებოდა ადვოკატი პ. შ. და ეუბნებოდა, რომ

თავად დაიცავდა მის ინტერესებს. ზ. პ.-ის განცხადებით, მან კლიენტს მაშინვე აცნობა, რომ ადვოკატ პ. შ.-სთან ერთად მის ინტერესებს ვერ დაიცავდა, რადგან მასთან ერთად ვერ იმუშავებდა. კლიენტმა განუმარტა, რომ მისი სურვილი იყო ზ. პ.-ს დაეცვა მისი ინტერესები და თავიდანაც ამიტომ შეუთანხმდა.

1.4 ადვოკატი ზ. პ. განმარტავს, რომ როდესაც მ.ღ.-სთვის ბრალის წარდგენისას შევიდა წინასწარი დაკავების იზოლატორში გამომძიებელთან და სტაჟიორ პროკურორთან ერთად, იქ დახვდა ადვოკატი პ. შ., რომელიც იქცეოდა ,,დაუპატიჟებელი სტუმარივით". ზ. პ.-ის განცხადებით, მან კლიენტს ჰკითხა რატომ იყო იქ ადვოკატი პ. შ., კლიენტმა აცნობა, რომ მისი ინფორმაციით ეს ადვოკატი აუყვანა ოჯახმა, დაელაპარაკებოდა ოჯახს და სიტუაციას გაარკვევდა. ამ დროს პ. შ.-მ მას შესთავაზა, ორივე ყოფილიყვნენ ამ საქმეში ჩართულნი, რაზეც თავად უარი განუცხადა და განუმარტა, რომ მასთან ერთად ვერ იმუშავებდა, რადგან იცოდა მისი ,,ორმაგი სტანდარტის ხასიათი".

1.5 ადვოკატი განმარტავს, რომ ამის შემდეგ კლიენტს კატეგორიულად მოთხოვა გაეკეთებინა არჩევანი მასსა და პ. შ.-ს შორის. ამ დროს პ. შ. მის გვერდით იჯდა და მ.ღ.-ს ,,ჯამბაზივით" ანიშნებდა, რომ მე ამირჩიეო. კლიენტმა აირჩია ადვოკატი პ. შ., იმ საფუძვლით, რომ ის აიყვანა მისმა ოჯახმა. ამის შემდეგ ზ. პ.-მ დატოვა კლიენტი და წამოვიდა. მას გარეთ გამოსვლისას ელოდებოდნენ ტელევიზიები და მოკლედ მიაწოდა ინფორმაცია, რომ მასსა და ადვოკატ პ. შ.-ს შორის ,,მოხდა პრინციპული და ტაქტიკური შეუთავსებლობა" და ამიტომ ჩამოსცილდა საქმეს.

1.6 ადვოკატ ზ. პ.-ის ინფორმაციით, პ. შ. როგორც კი გამოვიდა წინასწარი დაკავების იზოლატორიდან, დაიწყო მისი დისკრედიტაცია, ჟურნალისტებს უთხრა, რომ პატიმარმა ,,ის აირჩია" და სოციალური ქსელით - ,,ფეისბუქით" დაიწყო ზ. პ.-ის კომეტარების ქილიკი: ,,ოხ ოხ რა სიტყვების რახარუხია.. პრინციპული შეუთავსებლობა.. ტაქტიკური შეუთავსებლობა.. ამ დროს კი ახსნას ვერ პოულობს კაცი რახარუხში ვერც ერთი სიტყვისას.. ვაი ღმერთო ჩემო."

1.7 ადვოკატ ზ. პ.-ის პოზიციით, მან მოიპოვა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ადვოკატ პ. შ.-ს ჰქონდა ნათელ-მირონობა შსს მინისტრის მოადგილესთან და აქედან გამომდინარე ჰქონდა ინტერესი, შსს მოადგილის სახელი ცუდად არ გამოჩენილიყო ბრალდებულ მ.ღ.-ს მიერ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ზ. პ.-მ კომენტარი გააკეთა აჭარის ტელევიზიით, რამაც გამოიწვია პ. შ.-ის გაბრაზება და მან სოცილური ქსელის ,,ფეისბუქის" მეშვეობით ზ. პ.-ის მიმართ გამოიყენა ლანძღვა-გინება:

1.7.1 ,,კი ზ. პ.! გიდასტურებ! ბ. ა. ჩემი ნათესავია! ჩემი ოჯახის წევრია, ჩემი მეჯვარე და ჩემი ტასუნას ნათლიაა! ვამაყობ ამ ნათესავობით! იგივეა ლ. გ.-ც.. მაგრამ ეს შენი ვაჭრობის თემა რატომ გახდა.. არ ვინიშნები ხოლმე არავის ადვოკატად და არც ვიყიდები უსაქმურო, ხელმოცარულო.. უავკარგო და არ ვიცი კიდევ რამდენი უ.. ჩემს თავს აღარ ვკადრებ შენ პოლიციისა და პროკურატურის ადვოკატო!! დანარჩენს სასამართლოში გაგიგრძელებ.... ძალიან დიდი შეცდომა დაუშვი..."

1.7.2 ,,რა საცოდავი ხარ, როგორი სულმდაბალი და უნიჭო ყოფილხარ... ნუ ახლა მთელი საქართველო გიცნობს როგორც ,,ბეჩლანდიას"... ეს ცხადზე ცხადია.. ხარ ერთი უსაქმური, უთვისტომო და უაზრო ადვოკატი, არაკოლეგიალური, არაადამიანური და სულით ბეცი... რა ვთქვა მეტი... წესით არ უნდა შეგეპასუხო შენისთანა ცოცხალ ლეშს,

მაგრამ მაინც უნდა მეთქვა ორიოდ სიტყვა... პ. შ. შენგან განსხვავებით არავის ეხვეწება ადვოკატად ამიყვანეო... შენ იყავი სწორედაც დროებითი დაკავების დაწესებულებიდან ბრალდებულმა რომ გამოგაპანღურა ... რომ გითხრა არ მჭირდებიო... არ გახსოვს? ამ დღეებში სასამართლოსა და ეთიკის კომისიაში ვიმსჯელებთ შენს ავკაცობაზე".

1.7.3 ,,ყლეოპედია/ქართველი ყლეების ენციკლოპედია". ,,ძალიან მაგარი ყლეა ძმაა... უძალიანმაგრესი... პიტალო ყლეე.. გვარიც ხელს უწყობს...".

1.8 ადვოკატ ზ. პ.-ის პოზიციით, ასეთი შინაარსის განცხადებები აღცხვენს მთელ ადვოკატთა კორპუსს და ადვოკატ პ. შ.-ს უნდა დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.

2. ადვოკატ პ. შ.-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა პ. შ.-მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2017 წლის 25 მაისს, სადაც განმარტა, რომ ზ. პ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, უკანონო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

2.2 პ. შ.-ის განმარტებით, ქ.ბათუმში 2017 წლის 11-12 მარტს აქციის შედეგად განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, ორგანიზატორობის ბრალდებით 23 აპრილს მართლაც დააკავეს მ.ღ. თავდაპირველად იგი დააკავეს ადმინისტრაციული წესით და ხელწერილის საფუძველზე გათავისუფლდა დაკავებიდან, ხოლო იმავე დღეს და იმავე საათს ის დააკავა შსს აჭარის პოლიციის დეპარტამენტმა.

2.3 2017 წლის 23 აპრილს ის არ იყო ბათუმში, როდესაც დაახლოებით 16:00 საათზე აღელვებული ხმით დაუკავშირდა მ.ღ. და განუცხადა, რომ საპატრულო პოლიციამ დააკავა. მან სთხოვა მისულიყო საპატრულო პოლიციის აჭარის მთავარ სამმართველოში მისი კანონიერი ინტერესების დასაცავად. მან მ.ღ.-ს განუმარტა, რომ ქალაქში არ იმყოფებოდა და როგორც კი შეძლებდა, მაშინვე მივიდოდა მასთან. იმ დღეს მას მ.ღ. არ დაკავშირებია. მისთვის გვიან ღამით ინტერნეტის საშუალებით გახდა ცნობილი, რომ მ.ღ. სისხლის სამართლის საქმეზე ბრალდებულის სახით ჰყავდათ დაკავებული. პ. შ. განმარტავს, რომ ეს ეწყინა, რადგან მ.ღ.-სთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა.

2.4 2017 წლის 24 აპრილს, დილით მას დაუკავშირდა მ.ღ.-ს მეუღლე და დის ქმარი, შეატყობინეს მ.ღ.-ს დაკავების თაობაზე, სთხოვეს დაეცვა მისი ინტერესები და გამოცხადებულიყო დროებითი დაკავების იზოლატორში. პ. შ.-ის განმარტებით, მისთვის არ იყო ცნობილი მ.ღ.-ს ჰყავდა ადვოკატი თუ არა, ამოწერა ორდერი და დაახლოებით 16:30 სთ-ზე გამოცხადდა შსს დროებითი დაკავების იზოლატორში. იზოლატორში მისი შესვლიდან 15 წუთში შევიდნენ შსს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დეტექტივის თანაშემწე-გამომძიებელი და ადვოკატი ზ. პ., როგორც მას განუმარტა გამომძიებელმა, მ.ღ.-სთვის ბრალი უნდა წარედგინათ.

2.5 ადვოკატ პ. შ.-ის განცხადებით, მან ზ. პ.-ის დანახვისას თავი იგრძნო უხერხულად და ზედმეტად. მან კლიენტს განუცხადა, რომ რადგან ადვოკატი უკვე ჰყავდა შერჩეული, ის წავიდოდა და ზ. პ. განაგრძობდა მისი ინტერესების დაცვას, ამაზე კი მ.ღ.-მ კატეგორიულად განაცხადა, რომ მისი სურვილი იყო პ. შ.-ს დაეცვა მისი ინტერესები. ამის გამო ზ. პ. განრისხდა და განუცხადა, რომ თუ სხვა ადვოკატი უნდოდა, რატომ არბენინა წვიმაში. მ.ღ.-მ ადვოკატ ზ. პ.-ს უთხრა, რომ თუ გული წყდებოდა, შეეძლო პ. შ.-სთან ერთად დაეცვა მისი ინტერესები. ზ.

პ.-მ განუცხადა, რომ პ. შ.-სთან ერთად ვერ დაიცავდა და გაეკეთებინა არჩევანი. მ.ღ.-მ ადვოკატ ზ. პ.-ს განუცხადა, რომ დაეტოვებინა იზოლატორი და შეეწყვიტა მისი კანონიერი ინტერესების დაცვა და რომ მის დაცვას განახორციელებდა ადვოკატი პ. შ.. ადვოკატი ზ. პ. ამ სიტყვების შემდეგ წამოხტა სკამიდან და გაჯავრებული გავარდა ოთახიდან.

2.6 პ. შ.-ის განცხადებით, მ.ღ.-მ ადვოკატ ზ. პ.-ს განუმარტა, რომ რადგან მისი დაკავების დროს პ. შ. ქალაქში არ იყო, ამიტომ აიყვანა ის დროებით, თორემ თავისი უფლებების დაცვას ანდობდა პ. შ.-ს და ეს არ წყენოდა. ადვოკატის განმარტებით, მან თავადაც მოუბოდიშა ზ. პ.-ს და განაგრძო დაცვის განხორციელება.

2.7 ადვოკატ პ. შ.-ის განმარტებით, დროებითი დაკავების იზოლატორიდან გასვლის შემდეგ ზ. პ.-მ ჟურნალლისტებს განუცხადა, რომ მ.ღ.-ს ინტერესების დაცვა შეწყვიტა, რადგან მან სხვა ადვოკატი აიყვანა, რომელთანაც ჰქონდა ტაქტიკური შეუთავსებლობა. პ. შ.-ს ამ სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან მიხვდა, რომ ზ. პ. დარჩა განაწყენებული.

2.8 2017 წლის 25 აპრილს, დაახლოებით 16:00 სთ-ზე მასთან მივიდა აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტი და სთხოვა კომენტარი გაეკეთებინა ზ. პ.-ის ბრალდებებზე. ვინაიდან მან არ იცოდა ამის შესახებ, ჟურნალისტმა გააცნო საქმის ვითარება, რომ ადვოკატი ზ. პ. ამბობდა თითქოს პ. შ. იყო პოლიციასთან შეკრული ადვოკატი, ის მ.ღ.-ს საქმეში დანიშნა შსს მინისტრის მოადგილემ. ამ მოქმედებით ზ. პ. შეეცადა საზოგადოებისათვის ადვოკატი პ. შ. გაეცნო როგორც დაცვის არაჯეროვნად განმახორციელებელი, უზნეო და პოლიციასთან შეკრული ადვოკატი. ადვოკატ პ. შ.-ის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ მან ეს საქციელი მიიღო როგორც არაკოლეგიალური და უკიდურესად შეურაცხმყოფელი, ზ. პ.-ის მიმართ რაიმე სამართლებრივი რეაგირება არ მოუხდენია.

2.9 ადვოკატის განმარტებით, ადვოკატ ზ. პ.-ის განსახილველი და შესაფასებელი ნამდვილად არ არის, რომელ მოსამართლეს შეაქებს. მან, როგორც ადვოკატმა გამოთქვა თავისი შეფასება მოსამართლე ვერა დოლიძის მიმართ.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მას სოციალური ქსელით ზ. პ.-ის მიმართ შეურაცხმყოფელი გამონათქვამები არ დაუფიქსირებია. ზ. პ. ვერ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მის მიერ წარმოდგენილი მასალები პ. შ.-ის სოციალური ქსელიდან არის ამოღებული და რომ პირადად პ. შ.-ის შესრულებულია. ამასთან, ის მიიჩნევს, რომ სოციალური ქსელი არის ადვოკატის პირადი სივრცე და კინკლაობა სოციალური ქსელის მეშვეობით არ უნდა გახდეს ეთიკის კომისიის განხილვის საგანი.

2.11 ადვოკატის განმარტებით, ზ. პ.-ის საჩივარი არ არის გამყარებული მტკიცებულებებით, არის დაუსაბუთებელი, შეურაცხმყოფელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი პ. შ. არის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო სამართალი. ადვოკატის სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის“ წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ადვოკატმა ზ. პ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა 2017 წლის 15 მაისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2017 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 2018 წლის 12 ივნისს საჩივრის ავტორმა ადვოკატმა ზ. პ.-მ განცხადებით მომართა ეთიკის კომისიას, სადაც მიუთითა, რომ მის მიერ შემოტანილ საჩივართან დაკავშირებით ადვოკატ პ. შ.-სთან მიმართებით აღარ აქვს პრეტენზია და სურს, კომისიამ შეწყვიტოს საქმის წარმოება.

5.2 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის თანახმად: ,, დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (მიმართვაზე)“. შესაბამისად, ვინაიდან საჩივრის ავტორმა უარი თქვა საჩივარზე, ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური საქმის წარმოება.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19–მე-20 მუხლებით, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით; 31-ე მუხლით, მე–40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N037/17 ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ინგა სეხნიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/